„მეტალისტი“ (ხარკოვი) – „დინამო“ (თბილისი) 2:0 (1:0)

ხარკოვი. „მეტალისტის“ სტადიონი. 19 ნოემბერი.

„მეტალისტი“: კუტეპოვი, დერკაჩი, რომანჩუკი, პანჩიშინი, სუსლო, ივანოვი (ენეი), ბარანოვი, ვაშჩენკო (ბონდარი), იაკუბოვსკი, აჯოევი, ტარასოვი.

„დინამო“: გაბელია, თეთრაძე, ცხადაძე, ჭედია, არზიანი, რევიშვილი (ქეცბაია), სვანაძე (აფციაური), თედეევი, ცაავა, ფანცულაია, გოგიჩაიშვილი.

მსაჯი ო. ჩინენოვი (მოსკოვი)

დუბლიორები - 2:0.

51-ე საკავშირო საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლო მატჩი თბილისის „დინამოს“ ხარკოვში ჰქონდა „მეტალისტთან“. დასკვნითი ტურის წინ ორივე გუნდი გათამაშების ცხრილში მეზობლად იმყოფებოდა, წარმატების შემთხვევაში დინამოელები მკვეთრად იუმჯობესებდნენ სატურნირო მდგომარეობას. მატჩის ფრედ დამთავრების შემთხვევაში კი ისინი 24 ქულას აგროვებდნენ და წინ უსწრებდნენ ხარკოველებს, ვინაიდან „მეტალისტმა“ წინა ტურში უკვე ამოწურა ფრეთა ლიმიტი.

ისევე, როგორც წინა ტურში კიეველ თანაკლუბელებთან, თამაში მძიმე მეტეოროლოგიურ პირობებში მიმდინარეობდა. თუ კიევში სათამაშო მინდვრის დიდი ნაწილი დათოვლილი იყო, ხარკოვში მეტოქეებს ყინულით დაფარულ საფარზე მოუწიათ თამაშმა. მასპინძლებმა თავიდანვე რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს გაბელიას კართან. მე-12 წუთზე „მეტალისტის“ მცველის დერკაჩის გადაცემით სუსლომ გახსნა ანგარიში - 1:0, ხარკოველთა შეტევები არც შემდეგ შენელებულა. გაბელიას და დინამოელთა მცველებს მთელი დატვირთვით მოუხდათ ბრძოლა „მეტალისტის“ შეტევების მოსაგერიებლად. თბილისელთა კარი ორჯერ ძელმაც იხსნა.

თამაშის მეორე ნახევარში თბილისელებმა შეძლეს გარდატეხის შეტანა თამაშში. ბრძოლამ შუა მინდორზე გადაინაცვლა. ორივე გუნდი კონტრშეტევებით ცდილობდა უპირატესობის მიღწევას. ერთ-ერთ მომენტში გოგიჩაიშვილი პირისპირ დარჩა მეკარესთან, მაგრამ დარტყმული ბურთი მიზანს ასცდა.

მე-80 წუთზე ხარკოველთა კონტრშეტევამ მიზანს მიაღწია. დინამოელთა მცველების შეუთანხმებლობით კარგად ისარგებლა იაკუბოვსკიმ და ძლიერი დარტყმით ანგარიში გაზარდა 2:0-მდე.

ბოლო ტურში ინტერესს იწვევდა საპრიზო ადგილებზე მებრძოლი გუნდების შეხვედრები. კიევის დინამოელებმა თავიანთ სტადიონზე ძნელ ბრძოლაში დაამარცხეს ბაქოს „ნეფთჩი“ – 2:1 და ვერცხლის მედლებს დაეპატრონნენ. მოსკოვის ტორპედოელებმა გაიმარჯვეს „არარატთან“ შეხვედრაში - 2:0 და ბრინჯაოს მედლების მფლობელები გახდნენ.

ლელო 23.11.1988